N 82 19/03/2019

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი 3

დ. ჩოხატაური **11 მარტი, 2019 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მამია ბარამიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: ქეთევან სიხარულიძე, ლევან ლომინეიშვილი, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, მინდია დოლიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მერაბ ბერძენიშვილი- არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის უფროსი სპეციალისტი.

ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში- ანა თავართქილაძე, მარიტა მახარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ირაკლი ახობაძემ, გოჩა ჯიქიამ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

I საკითხი: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ერთეულების თითქმის ყველა სოფელში მიღებული იქნა გადაწყვეტილება გარე განათების ქსელის გაფართოების თაობაზე, რომელიც გარკვეულწილად ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაინტერესებს, დაახლოებით რამდენი ლარის ხარჯია საჭირო ამ დანიშნულებით და რამდენი განათების ნათურა უნდა დამონტაჟდეს?

მერაბ ბერძენიშვილი- როგორც მაქვს ინფორმაცია განათებები დაბაში ეწყობა რეგიონალური განვითარების ფონდიდან და ეს მოგვცემს დიდ ეკონომიას ხარჯის კუთხით. ეკონომიის ხარჯზე მოეწყობა სოფლებში ის განათებები და ამით დაბალანსდება. თუმცა, ვფიქრობ, რომ ცოტა თანხის დამატება მაინც მოგვიწევს მუნიციპალიტეტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა